

პრესრელიზი



„საქსაზიპროის“ შახტების მუშაობას საერთაშორისო სტანდარტების მქონე აუდიტორული კომპანია განახორციელებს

„საქართველოს ინდუსტრიულის ჯგუფის „მენეჯმენტმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომის მუშაობაში. შეხვედრა პროფკავშირების ინიციატივით გაიმართა, რომელზეც მათ მიერ წარმოდგენილი მოთხოვნები განიხილეს. ერთერთ მთავარ საკითხს ტყიბულის შახტებში არსებულ პრობლემები და გამოწვევები, მათი აღმოფხვრის გზები და საშუალებები წარმოდგენდა. ასევე, შრომის უსაფრთხოების ნორმების გაუმჯობესებას, დასაქმებულებისთვის შეღავათების დაწესებას. შეხვედრაზე ასევე იმსჯელეს მუშახტებისთვის საშემოსავლოს მოხსნის და სხვა შეღავათების დაწესების შესაძლებლობაზე.

შეხვედრაზე „საქართველოს ინდუსტრიულმა ჯგუფმა“ კომისიის წევრებს ტყიბულის საწარმოში უსაფრთხოების რისკების მაქსიმალური მინიმალიზაციისთვის გაწეული საქმიანობის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია, თუმცა, იქვე აღნიშნეს, რომ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად სავალალო შედეგი მაინც დადგა. კომპანიამ თავის მხრივ მზადყოფნა გამოთქვა მხარეებთან აქტიური თანამშრომლობის თაობაზე. მზადაა ნებისმიერი გადაწყვეტილებისთვის და ამის შემდეგ მოხდება შეჯერება, თავის მხრივ, რამდენად უღირს კომპანიას ოპერირების გაგრძელება.

ორსაათიანი შეხვედრის შემდეგ კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ტყიბულში შახტების მუშაობას აუდიტს საერთაშორისო სტანდარტების მქონე აუდიტორული კომპანია განახორციელებს, ასევე უახლ დღეებში შეიქმნება გაფართოებული კომისიარომელშიც საპარლამენტო წარმომადგენლობაც ჩაერთვება.

„მიღებულია გადაწყვეტილება, რომ მოწვეული იყოს საერთაშორისო სტანდარტების მქონე კომპანია, რომელიც შეაფასებს, ზოგადად, რამდენად არის შახტაში უსაფრთხოების ნორმები დაცული. ასევე იმას, თუ რამდენად შეიძლება შახტაში უსაფრთხოების ნორმების დაცვა იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს გამორიცხული ფატალური შემთხვევები. ამის შემდეგ განისაზღვრება ღონისძიებების ნუსხა. ხოლო კომპანია



პრესრელიზი

განსაზღვრავს ამ ფორმატში რამდენად აქვს სურვილი გააგრძელოს საქმიანობა. ჩვენ მზად ვართ, რომ სრულად და გამჭვირვალედ დასრულდეს საგამომიებო პროცესი, მზად ვართ ყველა შედეგისთვის. ამავდროულად წარიმართება აუდიტის პროცესი, რომელიც იტყვის, ღირს თუ არა შახტაში ოპერირება. ჩვენ, ჩვენი მხრივ მაქსიმალური გავაკეთეთ რისკების მინიმალიზაციისთვის, რაც იქ არსებობდა და ჯანდაცვის ყველა მტკივნეული და კატეგორიული მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თუმცა სავალალო შედეგი მაინც დადგა“, - განაცხადა „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ გენერალურმა დირექტორმა ზურაბ გელენიძემ სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან საუბრისას.

შეხვედრას კომპანიის მხრიდან „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელი დავით ბეჟუაშვილი, გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ გელენიძე, ადმინისტრაციული დირექტორი ნინო ჯორბენაძე, გენერალური დირექტორის მრჩეველი ლევან ვეფხვაძე და „საქნახშირი ჯი-აი-ჯის“ გენერალური დირექტორი ჯამბულ ჯაყელი .

სამმხრივი კომისიის სხდომას აღმასრულებელი ხელისუფლებიდან ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო, ვიცე პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი, იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი მათა ცქიტიშვილი, განათლების მინისტრის მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი და ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი დაესწრნენ. კომისიის წევრები მთავრობის, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციების წარმომადგენლები არიან.

